

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

2020 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტორ - ტექნიკოსი“	
პროგრამის განხორციელების ადგილი	
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
პროგრამის ხანგრძლივობა (ქართულენოვანი სტუდენტებისათვის)	
71 კვირა	
პროგრამის ხანგრძლივობა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)	
91 კვირა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 84 კრედიტი
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 114 კრედიტი
	დაშვების წინაპირობა
	სრული ზოგადი განათლება
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	პროგრამის მიზანია მოამზადოს არქიტექტორ-ტექნიკოსი, რომელიც შეძლებს პროექტის ხელმძღვანელის დახმარებას არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში; საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურულ აზომვას; ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულებას, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვას, წინასაპროექტო კვლევის ჩატარებას, მასალის კომპიუტერულ დამუშავებას, სივრცულ ფოტოგრაფირებას, მაკეტირებას; საპროექტო - ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას.
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: • არქიტექტურული ობიექტის ესკიზური პროექტის საფუძველზე მუშა პროექტის ნახაზის შესრულება /გამოხაზვა/; • არქიტექტურულ ობიექტზე აზომვითი სამუშაოების შესრულება; • არქიტექტურული ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია; • არქიტექტურული ნახაზის შესრულება ტრადიციული გრაფიკული მეთოდით; • არქიტექტურული ნახაზის შესრულება კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; • არქიტექტურული ობიექტის მაკეტის შესრულება;

- საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი, ტელეფონი, e-mail, მისამართი)

ლალი ხუციშვილი, 555 475419, lalikhutsi@gmail.com, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, მ. კოსტავას №68, I კორპუსი, IV სართული, ოთახი 406.